ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4241411

ნომერი: AR1640834

თარიღი : 30.10.2018

გაცემის თარიღი : 31.10.2018

გაცნობის თარიღი : 05.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მაჭავარიანი პ/ნ 01008019581
- თბილისი, ნინოშვილის ქ. #8

ორგანიზაცია:

- ნინო კოდი: 202886127

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 30 ოქტომბრის AR1640834 განცხადება, რომეიღც ეხება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N8-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განხილვისათვის საჭიროა წარმოადგინოთ არსებული და საპროექტო გეგმები და ჭრილები და მოთხოვნის ტექსტში დეტალურად იქნეს ასახული ჩასატარებელი სამუშაოები.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, საჭიროა განიმარტოს ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით და წარმოდგენილ იქნეს მისი სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე გაცემული, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლეა დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით წარმოდგენილ იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მეიჯარის თანხმობა ასევე შესაძლებელია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით სრგებლობით გაცემულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათი უფლებამოსილი პირის გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. თუ არ ეხებით განმარტეთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.